უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 26

20 13წ. "10" 10

ქ.თბილისი

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ-უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ-უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404987332) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200-ით.
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ-უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 10 ოქტომბრის №4 სხდომის ოქმის მე-6 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი
ანა ბახტურიძე

დანართი

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით**	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**
ბაკალავრიატი	ბიზნესისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი; ინფორმატიკის ბაკალარი
მაგისტრატურა	შედარებითი კერძო და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)	სამართლის მაგისტრი
	ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
დოქტორანტურა	სამართლის სადოქტორო პროგრამა (ქართულ და ინგლისურენოვანი)	სამართლის დოქტორი
ერთსაფეხურიანი	მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)	დიპლომირებული მედიკოსი